

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „ქვიშა ბათუმი“

445537839

ფინანსური ანგარიშგება

2024 ლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

ხელმძღვანელობის სახელით:

აჰმეთ ქუთანოძე, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

7-10 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7-10
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
შენიშვნა 3. საადრიცხო პოლიტიკა	7-10
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	10
შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	10
შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა	10
შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	10

ხელმძღვანელობის სახელით:

აჰმეთ ქუთანოღლოუ, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კალტას"
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები	89193	0	0
სავაჭროდ სხვა მოთხოვნები	409932	0	0
სხვა პირებზე ავანსებად სესხებადგაცემულ ფულად სახსრები	3060	0	0
მარგები	84866	0	0
მზ პროდუქცია	49070	0	0
სხვა	35796	0	0
სხვა არმატერიალური აქტივები	926062	0	0
ძირითად საშუალებები	910255	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	72437	0	0
სულაქტივები	2495805	0	0

ვალდებულებები

სავაჭროვალდებულებები	871870	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3772	0	0
სხვა ვალდებულებები	441577	0	0
სულვალდებულებები	1317219	0	0

ხელმძღვანელობის სახელით:

აჰმეთ ქუთანოლოუ, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
 დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " კალტას"
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტომონაგები	1800369	0
საქონლის გაყიდვიდან	831496	0
მომსახურების გაწევიდან	968873	0
გაყიდვების თვითღირებულება	-693650	0
საერთომოგება	1106719	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-173324	0
ცვეთა / ამორტოზაციის ხარჯი	-195166	0
აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯი	-160908	0
სულსაოპერაციო ხარჯები	-529398	0
საოპერაციომოგება	577321	0

გაფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

მოგება / (ზარალი) მოგების გადსახადის ხარჯმდებელ განგრძობით ოპერაციებიდან	577321	0
საანგარიშგებოპერიოდის მოგება / (ზარალი)	577321	0

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მიღიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	577321	0
-------------------------------------	--------	---

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელ საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებელ მოგება (ზარალი)	404125	0
არმაკონტროლებელწილებზე მისაკუთვნიებელ მოგება (ზარალი)	173196	0
მოგება / (ზარალი)	577321	0

მიღიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელ საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებელ მიღიანი შემოსავალი	404125	0
არმაკონტროლებელწილებზე მისაკუთვნიებელ მიღიანი შემოსავალი	173196	0
მიღიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	577321	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	601265	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებოპერიოდის ბოლოს	1178586	0

ხელმძღვანელობის სახელით:

აპმეთ ქუთანოლოუ, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
 დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” კალტას“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

გაუნაწილებელ მოგება / (დგროვილ ზარალ)	252524	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	926062	0	0
სულშემოხელ საწარმოს მფლობელობის განკუთვნილ საკუთარი კაპიტალ	1178586	0	0
სულსაკუთარი კაპიტალ	1178586	0	0
სულსაკუთარი კაპიტალ და ვალდებულებები	2495805	0	0
სულმოგლევადანი აქტუები	2495805	0	0

ხელმძღვანელობის სახელით:

აჰმეთ ქუთანოლო, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კალტას"
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულად სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	89193	0
ფულად სახსრების შემოსვლ (გასვლ)	89193	0
ფულად სახსრები დ მათ ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდს ბოლს	89193	0

ხელმძღვანელობის სახელით:

აპმეთ ქუთაილი, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
 დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქვიშა ბათუმი რეგისტრირებულია 13/07/2018 საზოგადოების ს/ნ 445537839

საქართველო ქალქი ბათუმი, სელმ ხიმშიაშვილის ქუჩა,

№94, ბინა №39

საწარმოს დაფუძნებელი

- აპმეთ ქუთანოლო, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/ - 25%
- ჰარუნ ოზბეკი, A12V95985, 44767959102 /თურქეთი/ - 75%

დირექტორი აპმეთქუთანოლო 51649058334, U 23478058 /თურქეთი/

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება

კომპანია არის შპს „ა-სთონე“-ში (445679203) 70% წილის მესაკუთრე

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის (ბალასტის) გადამამუშავებისაგან მიღებული პროდუქციის (ქვიშა-ხრეში) რეალიზაციით და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოში, რამდენადაც საწარმოო საქმიანობაში შეიძენს როგორც საქართველოში, ასევე არორცილებს დანადგარების ნაწილების იმპორტ თურქეთის რესპუბლიკიდან ფულადი სახსრების ხარჯვა ხდება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ-რეჟიმის საბუკოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადები

ს შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით,

ხელმძღვანელობის სახელით:

აპმეთ ქუთანოლო, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

საგაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

საგაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

ხელმძღვანელობის სახელით:

აპმეთ ქუთანაძელოუ, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბულალტერი

ბათუმი, საქართველო

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგეო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგეო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი პოტსავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგეო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგეო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ხელმძღვანელობის სახელით:

აპმეთ ქუთანაძელოუ, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბულალტერი

ბათუმი, საქართველო

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.

შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ქვიშა ბათუმი“-ის

დირექტორი

აჰმეთ ქუთანოღლო

ხელმძღვანელობის სახელით:

აჰმეთ ქუთანოღლო, 51649058334, U 23478058 /თურქეთი/
დირექტორი

ბუღალტერი

ბათუმი, საქართველო